91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №9 (7108) 1 მაისი 2024 წელი

5 მაისი

ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

ქრისტე აღსდგა!

აღდგომა—უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც აღინიშნება ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით.

აღდგომას წინ უძღვის 40-დღიანი მარხვა, საეკლესიო სამზადისი, აღსარება და ზიარება, ვნების კვირა.

ქრისტიანთათვის აღდგომა ზეიმთა ზეიმია, აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა, რაზედაც მოსეს ხალხი ეგვიპტის მონობიდან თავის დაღწევის შემდეგ ოცნებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ და რაც ჯვარცმული ქრისტეს სახით განხორციელდა.

თავდაპირველად, მხოლოდ ვნების დღეებს ზეიმობდნენ. მხოლოდ IV საუკუნეში მიეცა აღდგომის დღესასწაულს თანამედროვე სახე. 325 წელს, ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს.

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია და მას წლევანდელ წელს მართლმადიდებელი ქრისტიანობა 5 მაისს აღნიშნავს.

მართლმადიდებელი ქრისტიანები აღდგომიდან ამაღლებამდე ასე მიესალმებიან ერთმანეთს: „ქრისტე აღსდგა!—ჭეშმარიტად აღსდგა!“

ქრისტე აღსდგა მკუდრეთით სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინა ცხოვრების მიმნიჭებელი (3 გზის).

სულთათანა
☞4, 5



ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

დედაენის კვირეული

დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, თერჯოლაში რამდენიმე საინტერესო ღონისძიება გაიმართა

სამხატვრო სკოლაში დედაენის თემაზე გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო ნორჩი მხატვრების ნამუშევრები. გამოფენას ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

დედაენის თემატიკაზე თერჯოლის სამხატვრო სკოლის და მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის აღსაზრდელების ჩართულობით ასევე მოეწყო ასფალტზე ხატვა.

კვირეულის ორგანიზატორი იყო მერიის კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

თერჯოლაში ქართული ენის დღე აღნიშნეს

14 აპრილს, დედაენის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი კვირეულის ფარგლებში, კულტურის სახლის სცენაზე ჩატარდა თემატური ღონისძიება. დამსწრე საზოგადოებას დედაენის დღე მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა.

მანუჩარ რობაქიძემ ქართული ენის ისტორიის და უნიკალურობის შესახებ ისაუბრა და დასძინა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის და განსაკუთრებით მომავალი თაობისთვის ქართული ანბანის დაცვას და პატივისცემას.

ქართული ენის დღე ისტორიულ-რელიგიური რაკურსით მიმოიხილა ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მიტროპოლიტმა გიორგიმ. მან თავის მიმართვაში, ეროვნული სიწმინდის—დედაენის გაფრთხილებისკენ მოუწოდა ახალგაზრდობას.

თერჯოლელ საზოგადოებას დედაენის დღე მიულოცეს საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა,ქეთევან შეყრილაძემ.

დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაგრძელდა ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტით. ეროვნულ მოტივზე აგებული პროგრამა წარმოადგინეს ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა: „საპოვნელა“, „იმერეთი“, „ჯეოგენი“, „იმერეთი“, „მასპინძელო“, „იამე“, „ჭიუხი“.

რამდენიმე მუსიკალური და საცეკვაო ნომერი შეასრულეს ა(ა) იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის აღსაზრდელებმა, ასევე ეწრის, ახალთერჯოლის და სიქთარვის სკოლის უფროსკლასელებმა.

ღონისძიებაზე ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელმა პირებმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსთან, ქეთევან შეყრილაძესთან ერთად, წიგნებით დააჯილდოვეს 2022-2023 სასწავლო წლების კურსდამთავრებული წარჩინებული მოსწავლეები.

დედაენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, საპატიო სტუმრის სტატუსით, ესწრებოდა საქართველოს დამსახურებული პედაგოგი ეთერ ტურავა. ღონისძიებას ასევე დაესწრნენ: მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს, რესურსცენტრის, სკოლების, ა(ა) იპების თანამშრომლები და მოსწავლე-ახალგაზრდობა.

„ო, ენავ, ჩემო, დედაო ენავ!“

ახალ-ახალი გამოფენით ანებივრებს თერჯოლელ დამთვალიერებელს სამხატვრო სკოლა. ცოტა ხნის წინ ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი ვერნისაჟით მოიწონეს თავი ნორჩმა „მხატვრებმა“ და სკოლის არაჩვეულებრივმა აღმზრდელებმა, 16 აპრილს კი ქართული დედაენისადმი დიდი სიყვარულის, მოფერების, სილამაზის და უკვდავების გამოხატვის მისეული ვერსია შესთავაზა თითოეულმა მოსწავლემ მრავალრიცხოვან დამთვალიერებელს.

ქართველი ხალხი უძველესი დროიდან უდიდეს პატივს მიაგებდა ჩვენი ქვეყნის უპირველეს განძს, ქართულ ანბანს და დედაენას. თერჯოლის მუნიციპალიტეტში დედაენისადმი მიძღვნილი კვირეული, რომელიც სხვადასხვა ლამაზ ღონისძიებაში აისახა და თითქმის მთელი რაიონი იყო ჩართული, მათ შორის სამხატვრო სკოლაშიც. აქ აპრილში ყოველწლიურად მიძღვნილი გამოფენა დასტურია იმისა, რომ კარგად იციან რა სიმდიდრის პატრონებიც ვართ, რომ მსოფლიოში 14 ანბანს შორის ერთ-ერთი ქართულია, რომ ის პირველია, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი და ერთადერთია, რომელსაც სამი ცოცხალი სახეობა გააჩნია... შემთხვევითი არ არის, რომ ქართველმა ხალხმა თბილისსა და ბათუმში დედაენას ძეგლი აუგო და 14 აპრილს სრულიად საქართველო ზეიმობს.

სამხატვრო სკოლის დირექტორი, ქალბატონი თამარი სიამაყით საუბრობს აგრეთვე ქართველთა ერთიანობასა და გმირულ შემართებაზე მაშინ, როცა ქართულ ენას საფრთხე დაემუქრა, როცა მას „ჩვენი ქვეყნის კეთილისმსურველმა“ სახელმწიფო ენის სტატუსის აყრა მოუნდომა. დაავიწყდათ, რომ ჯერ კიდევ საუკუნეთა მიღმა, ამ ენაზე დაიწერა სტრიქონები „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ყოველი წირვაი და ლოცვაი ქართულითა ენითა აღესრულების“.

საქართველოს მოსახლეობის ნება შეუვალი აღმოჩნდა. მოსწავლე, სტუდენტი, ინტელიგენცია, დიდი და პატარა ქუჩაში გამოსული მზად იყო სიცოცხლის ფასად შეეჩერებინათ საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის ხელყოფა.

ქალბატონ თამარს, რომელიც მაშინ თბილისში ცხოვრობდა და იმ დღეების მონაწილეა, არასოდეს ავიწყდება 1978 წლის 14 აპრილს, რაც ხდებოდა თბილისში 2 დღის განმავლობაში და ემოციურად საუბრობს მოსწავლეებისა და დამთვალიერებლების წინაშე. შემდეგ მან ისაურა გამოფენაზე და აღნიშნა, რომ სკოლის თითოეულმა მოსწავლემ თავიანთ ნამუშევრებში კალიგრაფიის გათვალისწინებით ანბანთან მიმართებაში გადმოსცა თავისი შინაგანი ბუნება და განცდა, აქ ჩანს მათი ფანტაზია, გემოვნება და ხედვა.

„ანბანმა ჩაიცვა ფერადი სამოსი“ და მართლაც საგამოფენო დარბაზში კედლებიდან თითქოს სულში გეღვრება გაფერადებული ანბანის მშვენიერება და სილამაზე. აღარ გიკვირს რატომ აღაფრთოვანებს იგი მსოფლიოს.

შემთხვევითი არ არის რომ, გამოფენაზე, თვალსაჩინო ადგილას, ჩვენი დიდი ქართველის იაკობ გოგებაშვილის ლამაზად შესრულებული პორტრეტია მოთავსებული „აი-იას“—თან ერთად. მისი ავტორი სკოლის ერთ-ერთი გამორჩეულად ნიჭიერი გოგონა, ანანო მარუაშვილია...

გოგონას უძველესი ქართული ანბანის ხიბლი, იაკობ გოგებაშვილი და დედა-ენასთან კონტექსტში დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით შესრულებული ეს ნამუშევრები გამოფენისათვის სიურპრიზად წარმოუდგენია, რისთვისაც მან სკოლის დირექტორისაგან მადლობა დაიმსახურა. მადლობა დაიმსახურა აგრეთვე ყველა ავტორმა, რომელთა ნამუშევრებმა გამოფენა დაამშვენა.

თითქმის ყველა მხატვრობის ნიმუში, რომელიც გამოფენილია აჩვენებს, რომ ავტორებს ანბანის სილამაზესა და კალიგრაფიის მაღალ კულტურასთან ერთად მშვენიერების შეგრძნებისა და მისი გადმოცემის ორიგინალური ხედვა, შესრულების ნიჭი და უნარიც გააჩნია.

დამთვალიერებელთა სახეებზე აღბეჭდილი კმაყოფილების გრძნობაც ამით არის განპირობებული.

ნორჩი „მხატვრების“ საზეიმო დღე, ირაკლი აბაშიძის უკვდავი ლექსით „ო, ენავ, ჩემო, დედაო ენავ“ კიდევ უფრო გაალამაზა ახალთერჯოლის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელის ნინი ქაშაკაშვილის ჩართულობამ... ლექსი ძალიან მოუხდა საზეიმო გამოფენას და დარბაზში დამთვალიერებთა შორის აღმოჩნდა კიდევ ერთი ახალგაზრდა, რომელმაც შეთავაზებაზე ლექსის წაკითხვა გადაწყვიტა, ესაა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი, ლიკა ლორთქიფანიძე, მან ანა კალანდაძის უკვდავი პოეზიიდან სახელდახელოდ წაკითხული ლექსით მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა...

☞7

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

ზაზა აბჟანდაძე: „ამ გზის გაკეთების დაწყება ისე გამიხარდა, როგორც ჩემი სანატრელი შვილიშვილის, იოტას დაბადება“

აი, ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი ზედა სიმონეთელმა ზაზა აბჟანდაძემ, როცა 23 აპრილს, მუნიციპალიტეტის მერთან, მანუჩარ რობაქიძესთან ერთად, ამ სოფლის საუბნო გზის 2,8 კმ-იანი მონაკვეთის (აბულაძეებისა და აბჟანდაძეების უბანი) სრულმასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების დასათვალიერებლად მერის პირველ მოადგილე ზვიად ბაზაძესა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძესთან ერთად ვეწვიეთ.

ცოტა მოგვიანებით, ჩვენს ჩაკითხვაზე, იმავე რესპოდენტმა—ზაზა აბჟანდაძემ გვიპასუხა, **„როცა ჩავუკვირდი ეს სიხარული უფრო სხვაგვარი და დიდი იყო, რადგან იგი ჩვენი მოსახლეობის სიხარულსა და აღტაცებას ჯამურად გამოხატავდა. ხარობს უბანი, კმაყოფილია ყველა, მწამს, რომ ამ გზით ბევრი სიხარული შემოვა ჩვენს ოჯახებში, ამ გზაზე ბევრი ახალდაქორწინებული წყვილი, ახალშობილი და სკოლის მოსწავლე გაივლის.**

მადლობა ყველას—მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, პირადად მანუჩარ რობაქიძეს, ხელმძღვანელობას უფრო ზევით, რომ ასეთი სიხარული გვაჩუქეს“.

ამ სიტყვებს ვერც ვერაფერს დავამატებთ, მართლაც საშვილიშვილო საქმე კეთდება. სწორედაც, ისეთი საქმეები უნდა კეთდებოდეს, რაც ადამიანებს სჭირდებათ და ახარებთ...

აქაურები გზის მშენებლობითაც კმაყოფილები არიან, იქვე ეტყობოდათ კიდეც იმ დღეს მათ გააზრებულ-აწყობილ საქმიანობას—ტექნიკის გამოყენებით ერთ მონაკვეთზე გზის პროფილს, რომ ამზადებდნენ ბეტონის ხსნარით დაფარვისათვის.

უკან როცა ვბრუნდებოდით წინ ორი დატვირთული ბეტონმზიდი შეგვხდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გაკეთებული გზა კიდევ 100 მეტრით მაინც წაიწევდა წინ.

ყველას კიდევ ერთხელ გაგვიხარდა, პირადად მე კი ერთ რამეზე დამწყდა გული—გადაუდებელი საქმეების გამო ადგილზე ვერ დაგვხვდა გია კოპალეიშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი კომპანია შპს „გია-ან“-ის ხელმძღვანელი, რომელიც იმედია, რომ მისი უფლებამოსილი პირების მიერ გაკეთებულ განცხადებას—პირველი ეტაპის ძირითად სამუშაოებს ძალიან მალე, სულ რაღაც ერთ თვეში დავამთავრებთო, არავითარ შემთხვევაში არ უღალატებს. სწორედ ასეთი სიტყვის კაცად ვიცნობდი და ვიცნობ მას ბევრი წლის განმავლობაში.

ჩვენი გაზეთის მკითხველს კიდევ ერთხელ ვაცნობებთ, რომ ზედა სიმონეთის ამ პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს. ფონდის დაფინანსებით ჩვენს მუნიციპალიტეტში კიდევ 3 პროექტია რეალიზებაში.

ესპროექტებია: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია; ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია; სოფელ ძევრის წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

იმედია ყველა ეს პროექტი წარმატებით განხორციელდება.

თერჯოლის სამხატვრო სკოლამ ფოტონამუშევრების გამოფენას უმასპინძლა

სამხატვრო სკოლის დიდ დარბაზში თერჯოლელი მოყვარული ფოტოხელოვანის, თემურ ნიკოლაძის ნამუშევრები გამოფინეს. ასამდე ნამუშევარში ჩატეული მისი ობიექტივით დანახული სამყარო—გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, უმეტესად მზის სხივებით გაჯერებული ფოტო-პეიზაჟები, ეს იყო გამოფენის ძირითადი თემა, რომელიც მნახველებისთვის საინტერესო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

გამოფენას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი-მანუჩარ რობაქიძე, იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი-დავით გორდელაძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მწერლები, კულტურის, ხელოვნების, მედიის და საგანმანათლებლო სივრცეში მოღვაწე ადამიანები დაესწრნენ, მათ მაღალი შეფასება მისცეს ნამუშრვრებს.

დაწვრილებით იხ. მე-8 გვერდზე.

სკოლამდელ დაწესებულებებს კომპიუტერული ტექნიკა გადაეცათ

25 პერსონალური კომპიუტერი 12 აპრილს ქალაქის და სოფლის საბავშვო ბაღების დირექტორებს, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელმა პირებმა გადასცეს.

„სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველთვის იზრუნებს იმაზე, რომ თითოეულმა ბავშვმა მიიღოს ხარისხიანი განათლება და აღიზარდოს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ სივრცეში” -აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა-მანუჩარ რობაქიძემ.

მუნიციპალიტეტის ა(ა) იპ სკოლამდელი დაწესებულების მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელის მაია თორთლაძის თქმით, აღნიშნულ ტექნიკას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწავლა-აღზრდის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოიყენებენ. მისივე განმარტებით, კომპიუტერიზაცია ასევე აუცილებელია ბაღების ავტორიზაციის მიმდინარე პროცესების ხელშეწყობისთვის.

საბავშვო ბაღებისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

სულთათანა

მართლმადიდებლური აღდგომის მეორე დღე, მიცვალებულთა მოხსენიების, საფლავთა კურთხევის დღეა. ამ დღეს ვიგონებთ ჩვენს გარდაცვლილ ახლობლებს, მეგობრებს და არა მარტო მათ... ვიგონებთ და პატივს მივაგებთ ადამიანებს, ვინც გამორჩეული კვალი დატოვა ცხოვრებაში, ვინც ქვეყნის ერთგული კაციც იყო და მისი მეხოტბეც, ვინც დღემდე მოიტანა ჩვენი ენა, მამული და სარწმუნოება...

* * *

ტრადიციულად, საღდგომოდ ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავი დაგვამახსოვრეს თავიანთი კეთილი საქმეებით, სამშობლოსადმი მსახურებით და რომლებიც არაერთხელ მოხვედრილან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, როგორც წარმატებული პიროვნებები, ახლა კი, მარადიულ სასუფეველში განისვენებენ. არდავიწყება მათ სახელებს...

იძინე მშვიდად, კარგო ვაჟკაცო!

სამწუხაროდ, სიტყვებითა და სტრიქონებით არც დიდი სიყვარულის გამოხატვა შეგიძლია ადამიანს და არც იმისა, როგორი მძიმე და გაუსაძლისია მისი არყოფნით გამოწვეული ტკივილი.

ღმერთმა მოგვცა იმის უნარი, რომ სიკვდილს შევურიგდეთ, მაგრამ რა ვქნათ, რომ მონატრება მარადიულია, სევდა და კაეშანი გაუსაძლისი.

აღდგომის შემდეგ ხსოვნის დღეებია საქართველოში, თუმცა ლაშა გოგიაშვილზე ვერ ვიტყვი—ლაშა არსად წასულა, ის უამრავი თერჯოლელის გულში დიდ ტკივილად ცოცხლობს.

დაიწერა და ითქვა მრავალგზის, რომ ლაშა საუკეთესო ხელმძღვანელი, საუკეთესო მერი იყო, ახალი სიცოცხლე და სილამაზე აჩუქა თერჯოლას, მის ინფრასტრუქტურას. ყოველივე, რაც მისი გეგმითა და თაოსნობით გაკეთდა ჩვენი პატარა ქალაქის კიდევ უფრო სრულყოფილი და სანიმუშო სილამაზის იდეით იყო ნაკარნახევი. ჩანაფიქრიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ არ დასცალდა, თუმცა მათ მისი თანაგუნდელები ასრულებენ, თავს არ ზოგავენ ერთად დაწყებული საქმეების ბოლომდე მისაყვანად...

ლაშა, ჩემი შვილის ტოლო და უახლოესო მეგობარო, შენ ახლა სიცისფრეში დაცურავ, ამაყად და სიყვარულით გადმოჰყურებ შენი ბავშვობის ადგილის დედას—ასე სასურველსა და სანატრელს.

მე ახლა სხვა ლაშას ვხედავ, კიდევ უფრო საყვარელსა და მოსაფერებელს, ჯერ საბავშვო ბაღიდან, მერე სკოლიდან, გიჟობა, ანცობა და ცელქობა რომ მოსულა, მერე სკოლის „ბოლო ზარიდან“, შენ და შენი კლასელები გვიან ღამემდე რომ არ იშლებოდით, სიმღერითა და ყიჟინით რომ იკლებდით იქაურობას... მერე იყო სტუდენტობა და შენი ბიოგრაფიის ნაწილი—საუკეთესო თბილისური დღეები, მუსიკალურ ხელოვნებასთან წილნაყარმა რომ გაატარე, იყო ლამაზი ოჯახის შექმნის და მამობის სიხარულის ზიარებაც...

ის დღე მახსენდება თერჯოლაში მერის პოზიციაზე პირველ ნაბიჯებს რომ დგამდი—ქვეყანა არჩევნებისათვის ემზადებოდა და დეპუტატობის კანდიდატთან შეხვედრა იყო დანიშნული, უამრავი ხალხი შეკრებილიყო, არ დამავიწყდება შენს გამოჩენაზე ხალხის სიხარულის რეაქცია, არც შენი, ბედნიერებისაგან გაფართოებული თვალები და გულწრფელი სიყვარულით ჩახუტება თითოეულთან.

დიახ, დიდი სიყვარულით ჩაეხუტე თერჯოლას და სიყვარულით აკეთებდი ყველაფერს მისი აღმშენებლობისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის, მათი პრობლემების მოგვარებისათვის...

უანგარო მეგობრობის, ვაჟკაცობის, მოყვასის სიყვარულის, ერთგულების, სამშობლოს სიყვარულის და თავდადების მაგალითი აჩვენე ყველას და ყველაფერი ერთ დღეს დაასრულე...

აქ კი არ შემიძლია არ გისაყვედურო—ასეთი კარგი და საჭირო კაცი, როგორ ვერ გაუფრთხილდი შენ სიცოცხლეს.

თერჯოლაში შენი წამოწყებული საქმეები გრძელდება.

ტკივილსა და მონატრებაში იზრდებიან შენი შვილები და უსათუოდ მამის კვალზე კარგები დაიზრდებიან... გამძლეობა და ჭირთათმენა მისცეს უფალმა მეუღლეს, მამას, ძმებს, მამიდებს, ყველა ახლობელს...

დროს გაუძლებს შენი ხსოვნა... სახელი შენი იქნება შენი შვილებისათვის საამაყო.

იძინე მშვიდად...

უფალო მოიხსენე და განუსვენე სულთათანა...

მზია ცქიფურიშვილი

ხსოვნის ნათელი

გარდაიცვალა ოჯახის წევრი, სხვა ახლობელი, მოკეთე, მეგობარი, კარის მეზობელი. გარდაცვალებას თან სდევს გლოვა და წუხილი, მაგრამ არსებობს და ერთგვარად გვანუგეშებს მეორე სიტყვა—გახსენება, ზნეობრივი ვალის მოხდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. ჩვენც გავიხსენოთ! „ვინც დაივიწყა წარსული, დაივიწყა მომავალი“. ჩვენც ნუ დავივიწყებთ!

სხვადასხვა დროს თერჯოლის რაიონიდან ბევრი ცნობილი ადამიანი წავიდა ამ ქვეყნიდან და სასუფეველში დამკვიდრდა. ყველას ვერ გავიხსენებთ, ბოდიში მათ სულებს. წლევანდელი ხსოვნის დღეს რამდენიმეს მივაგებთ პატივს.

ოჯახის და ძევრელების სევდა
(ელენე, ლევანი, ავთანდილი)

სოფელ ძევრში, არც ისე შორეულ წარსულში ცხოვრობდა, შრომობდა, ხალხის სამსახურში იდგა ერთი მისაბაძი ოჯახის სამი წევრი: ლევან კუტალაძე, ელენე ფანჩულიძე-კუტალაძე და მათი შვილი ავთანდილი. მტკივნეულად განიცადა სოფელმა სხვადასხვა დროს მათი გარდაცვალება, რადგან სამივენი სოფელს, რაიონს, ხალხს ემსახურებოდნენ, ერთგულად, გულის კარნახით.

ელენე ფანჩულიძე

1927-2015 წლებში ცხოვრობდა, ქალბატონი ელენე იყო კარგი მეუღლე, დედა, ბებია, ოჯახზე, ადამიანებზე შეყვარებული ადამიანი, ოთხი ათეული წელი ემსახურებოდა სოფელს, როგორც სასოფლო საბჭოს მდივანი. მოწინავეთა შორის იყო სოფელი თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, შრომისმოყვარე ადამიანებით, ქალბატონ ელენეს თავისი მოკრძალებული წვლილი ჰქონდა ამ წინსვლა-წარმატებაში. იყო განათლებული, საქმეში ღრმად ჩახედული, მომსახურების მაღალი კულტურა აახლოებდა ხალხთან და მათ სიყვარულს იმსახურებდა.

ვერ ვიტყვით, რომ ნაადრევად წავიდა, მეუღლის ლევან კუტალაძის და შვილის ავთანდილის გარდაცვალებამ გატეხა, მაგრამ მწუხარებას თავს არავის ახვევდა, მაინც იმედიანი იყო და იმედით ავსებდა ოჯახის წევრებს.

ლევან კუტალაძე

მეცხრე კლასის მოსწავლე იყო ლევან კუტალაძე დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო. ლევანის მამა გაიწვიეს, ძალიან მალე თვითონ მოხალისედ წავიდა. რამდენჯერმე დაიჭრა, ომმა ჭრილობები დაუტოვა, ფეხი დაუზიანდა, ორდენებით და მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა. ომის დამთავრების შემდეგ დაამთავრა საშუალო სკოლა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ჩხარის, საზანოს, თერჯოლის ღვინის ქარხნებში გამგედ, მერე კი „სამტრესტის“ თერჯოლის ღვინის კომბინატის დირექტორად.

ლევანი 1988 წელს, 63 წლის ასაკში გარდაიცვალა, ბევრი საქმე დარჩა გასაკეთებელი, მას მშვენიერ ოჯახში შვილებისა და შვილიშვილების გარემოცვაში, ჯერ კიდევ შრომით დაუღლელს, სიცოცხლე უნდოდა, მაგრამ მეუღლე—ელენესაგან განსხვავებით ბედნიერი წავიდა, არ მოსწრებია შვილის ავთანდილის გარდაცვალებას. მათ სამ შვილს—მანანას, მადონას, მაიას თავიანთი ღირსეული ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში.

ავთანდილ კუტალაძე

ავთანდილი უმაღლესი განათლებით იყო, ინჟინერ-ელექტრიკოსი, მუშაობდა თბილისში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, მაგრამ თერჯოლას ვერ შეელია, სადაც დაიბადა და გაიზარდა, სადაც ჰყავდა ცნობილი მშობლები, დები, მეგობრები. მერე მშვენიერი მანანა შურღაია შეირთო, მანანამაც არ „დაიწუნა“ ძევრი და სიყვარულით ცხოვრობდნენ, მაგრამ ხანგრძლივ ბედს არც მანანა გაუხარებია, 2015 წელს ავთანდილი 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. მთლად პატარები აღარ ეთქმოდათ შვილებს მარიამს და ლევანს, მაგრამ მამის ძლიერი ხელი სჭირდებოდათ. წავიდა ბატონი ავთანდილი და დატოვა

ნათელი კვალი. წლების განმავლობაში მუშაობდა ძევრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ და წარმატებულად, ხელმძღვანელები პატივს სცემდნენ, ისიც აყენებდა საქმიან წინადადებებს და მიზანსაც აღწევდა.

კუტალაძეების ოჯახში სიცოცხლე გრძელდება. ქალბატონი მანანა, ვერ გატეხა მეუღლის—ავთანდილის გარდაცვალებამ, დარდი და სევდა დღემდე მოჰყვება, მაგრამ ანუგეშებს შვილები—მარიამი და ლევანი, შვილიშვილები. ლევან უმცროსი ამერიკაში ცხოვრობს, იქაც კი წარმატებული.

დრომ ვერ გადააფარა ჩრდილი ელენეს, ლევანის, ავთანდილის წარსულს, ისინი ახსოვთ სოფელს, მის მოსახლეობას. ოჯახი კი სამივეს დაბადების და გარდაცვალების დღეს მათ საფლავებთან აღნიშნავენ, სანთელი და გულ ზე დაქცეული ჭიქა ღვინო არასდროს მოაკლდებათ.

ჟუჟუნა ცხადაძე

„ქრისტე აღსდგა მკუდრეთით
სიკუდილითა სიკუდილისა
დამთრგუნველი და საფლავების
„შინა ცხოვრების მიმნიჭებელი“



სულთათანა

მიხეილ შეყრილაძე

მას, როგორც მისაბაძ ადამიანს, ისე იცნობდა თერჯოლის რაიონი. წლების განმავლობაში მუშაობდა პარტიის რაიკომში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე და მათ შორის რაიონკომის მდივნად, მაგრამ ბატონი მიხეილი ბუნებით და მოწოდებით აღმზრდელი იყო. სკოლა და გაკვეთილები მიაჩნდა უპირველეს საქმედ. უაღრესად წიგნიერს, განათლებულს, ისტორიის პედაგოგს სურდა აღეზარდა მომავლის თაობა და უშურველად გადაეცა მათთვის ცოდნა, რომელიც თვითონ გამოულეველი ჰქონდა. სწორედ ამიტომ აღარ მიიღო შეთავაზებები და 1973 -1984 წლებში უნარიანად ხელმძღვანელობდა თერჯოლის №1 საშუალო სკოლას. იგი არ იყო მარტო კარგი დირექტორი, არამედ იყო ნამდვილი მოძღვარი. მისი შესვლა ჯგუფში სიხარულსა და ხალისს ჰმატებდა მოსწავლეებს. გაკვეთილზე მთელი სისრულით ჩანდა მისი პიროვნება, ცოდნა, განათლება, კულტურა, მასწავლებლობა მისი გატაცება იყო.

1984 წელს მოიხსნა დირექტორის მძიმე და საპატიო ტვირთი და 2006 წლამდე, როგორც ისტორიის მასწავლებელი მოსწავლეებს ზრდიდა ქვეყნის სიყვარულის სულისკვეთებით. მისი საუბრები აფიქრებდა ყველაზე სუსტ მოსწავლესაც კი. უაღრესად პატიოსანი, უანგარო, მიზერული ხელფასითაც კმაყოფილი იყო, ახალგაზრდების პატრიოტულ აღზრდას აყენებდა ყველაფერზე მაღლა და წინ.

2006 წელს დატოვა სკოლა, მაგრამ ხშირად ფიქრობდა სკოლის ავ-კარგზე, მოსწავლეებზე. ბედნიერად გაატარა 1 წელი შვილიშვილებით შემოჯარულმა და 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის სახელს დავიწყება არ უწერია, სანამ ერთი—ყველაზე ბოლო თაობა იქნება ცოცხალი, ოჯახში კი სამარადჟამოდ იქნება მისი ხსოვნის ნათელი.

ილია პულუზაშვილი

სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა, ღრმა და საფუძვლიანი განათლება მიიღო, მაგრამ ომი დაიწყო და უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. კავკასიის მისადგომებთან მებრძოლ თანამოძმეებს მკურნალობდა, მათთვის საკუთარ სისხლსაც არ იშურებდა. ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს, დაჭრილების გამოყვანისას თვითონაც დაიჭრა. მკურნალობდა, გამოჯანმრთელებული კვლავ მებრძოლებს შეუერთდა და მრავალი სიცოცხლე იხსნა.

ომის დამთავრების შემდეგ ოჯახი შექმნა, ანა სიმონგულაშვილის და ილია პულუზაშვილის სამოცწლიანი თანაცხოვრება სიყვარულის და ერთგულების მაგალითი იყო. 1995 წლიდან ოქტომბერში ილია პულუზაშვილი სამუშაოდ ჯავახეთში მიავლინეს, 1948 წლიდან კი ჩხარშია. მან გაიარა გზა ჩხარის საშუალო სკოლის ექიმიდან—რაიონის მთავარი ექიმის პასუხსაგებ თანამდებობამდე. სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტით და ხალხის სიყვარულით იყო გარემოსილი. „ჰიპოკრატეს“ ექიმის ფიცი არასდროს დაურღვევია, უტყუარი იყო მისი დიაგნოზი.

ბატონ ილიას წლები ვერაფერს აკლებდა, ახალგაზრდული შემართებით განაგრობდა მუშაობას და დიდ დროს უთმობდა ცოდნის შეძენას. იგი იყო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, დაჯილდოებული ჯანდაცვის ფრიადოსნის დიპლომით, სამამულო ომის პირველი ხარისხის და ღირსების ორდენებით, მიღებული ჰქონდა მრავალი მედალი და ჯილდო.

ღვაწლმოსილ ექიმს 80 წლის იუბილე ასეულობით ახლობელმა, რაიონის ხელმძღვანელობამ და მთელმა თერჯოლამ მიულოცა, 2006 წელს კი გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართეს. ილია პულუზაშვილი 86 წლის ასაკში გარდაიცვალა, ოჯახზე, ხალხზე, სამშობლოზე, ჩხარზე შეყვარებული კაცი...

სიმონ მუმლაძე

გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ ყოფილი რედაქტორი

გაზეთ „ჩხარის კოლმეურნეს“ 1937-1946 წლებში ხელმძღვანელობდა. ამ წლებში რედაქტორს და სხვა თანამშრომლებს მთელი ძალით უხდებოდათ ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის. გაზეთის ყოველი წერილი, ინფორმაცია ასახავდა კოლმეურნე გლეხობის თავდადებულ შრომას. დიდი სამამულო ომის დაწყებამ მთლიანად შეცვალა გაზეთის პოლიტიკა. ახლა წერილები ომის მიმდინარეობაზეც იწერებოდა, თერჯოლელთა გმირულ ბრძოლაზე, ფრონტიდან მიღებულ სამკუთხა წერილებზე. რედაქციელთა ერთი ნაწილი ომში წავიდა, ბევრი აღარ დაბრუნებულა.

გაზეთი, ქვეყანაში, თერჯოლაში შექმნილ მძიმე ვითარების მიუხედავად მაინც გამოდიოდა. იგი შენარჩუნდა მწირი ხელფასის, ტირაჟის სიმცირის და გავრცელების სიძნელეების მიუხედავად.

1989 წლის „წინსვლის“ საიუბილეო ნომრის გამოსვლა სიმონ მუმლაძემაც მიულოცა გაზეთის თანამშრომლებს, მთელ რაიონს.

თინათინ ქოჩიაშვილის შეუსრულებელი 80...

ვარდობისთვე ამჯერადაც სილამაზით მოგვეახლა თინა, ჩვენო ძვირფასო, მეგობარო. მან ერთად მოიტანა ულამაზესი დღეები: შენი დაბადების მეოთხმოცე წელიწადს 2 მაისი, აღდგომა, გახსენება-პატივგების დღეები. წარმოუდგენელია ეს ყოველივე რედაქციაში შენს გარეშე თინიკო და მაინც... რეალობა ასეთია. გილოცავთ სიყვარულით, სევდითა და მონატრებით. გვაკლიხარ, ტკივილამდე...

დროთა სვლას ვერავინ შეაჩერებს და ამასთან, „წუთისოფლის სტუმრად მოსულებს“ გვინდა არ გვინდა ასეთი დასასრულის ხვედრს ვერავინ და ვერაფერი აგვაცილებს, მთავარია, როგორი სახელით შემოვრჩებით შთამომავალთ თუ ნაცნობ-მეგობართა ხსოვნას.

ჩვენს 90 წლიან გაზეთს, 50 წლის მანძილზე ედექი ბურჯად და შემოქმედად. იყო ღამეების თენება თუ განსჯა თითოეული ნომრის თაობაზე. ერთი მთავარი სიტყვა შენ გეთქმოდა, ყველაფერს აკეთებდი „წინსვლა“ თუ „თერჯოლა“ საუკეთესო ყოფილიყო რეგიონში. ასეც იყო. საიმედო მუშაკი, მეგობარი, კოლეგა, ინიციატივიანი და ღირსებით შემკული ქალბატონი, ასეთი გვახსოვხარ და კიდევ, არაჩვეულებრივი დედა, თანგადაყოლილი ერთადერთი ქალიშვილის მაღალ იდეალებსა და ზნეობრივ ღირებულებებით აღზრდაზე. ნამდვილად შეგიძლია იამაყო თინა, სწორედ, რომ ისეთია შენი სოფო, როგორიც გინდოდა ყოფილიყო. ორი შვილის დედა, შეიძლება ითქვას, უბადლოა, როგორც შვილების, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების და ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდის საქმეში.

შენი შვილი, სიძე და შვილიშვილები მარიამი და ანასტასია შენ სახელს არასოდეს დაივიწყებენ და ხსოვნა შენი იქნება მარადიული.

ამასთან, ვიდრე ჩვენი გაზეთის თითოეული წევრი და გაზეთის გაყვითლებული ფურცლები თუნდაც, სადმე საცავში იარსებებს შენი, სახელიც იქ იქნება თინიკო, ჩვენო ძვირფასო...

გილოცავთ ამ ლამაზ დღეასასწაულებს...

ნათელი და მშვიდი განსასვენებელი დაგიმკვიდროს უფალმა.

მზია ცქიფურიშვილი

მეზობლების ტკივილიანი გახსენება

2023 წელი ტრაგიკული გამოდგა ჩვენთვის, ვინც ქალაქ თერჯოლაში, თამარ მეფის ქუჩაზე ვცხოვრობთ.

დიდხანს ებრძოდა ავადმყოფობას მგელივით ვაჟკაცი ელდარ დოლაკიძე. ლოგინს მიჯაჭვული მაინც იმედიანად იყო, ერთ დროს ხარივით მსმელი და მშრომელი ვაჟკაცი, მეგობრისათვის და მოკეთისათვის საიმედო დასაყდენი, ჯეელობაში კარგი მობურთალი, მეთევზე და მონადირე.

ჯერ ის არ იყო გამოგლოვებული, რომ დოლაკიძეებს, ჩვენს უბანს სათნო და საყვარელი ადამიანი, ქმარშვილის მოჭირნახულე ქალბატონი ციცო ხვედელიძე-დოლაკიძისა გამოეცალა ხელიდან. მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო მისი გარდაცვალება ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც მას იცნობდა, როგორც ზნეკეთილ, მშვიდ, გაწონასწორებულ პიროვნებას.

2023 წლის მიწურული იყო, რომ ასევე მგელივით ვაჟკაცი გოდერძი ბუცხრიკიძე გარდაიცვალა, თითქოს ჯანმრთელობას არ უჩიოდა, მხოლოდ უსინათლობა აწუხებდა. თვეც არ იყო გასული, რომ მისი მეუღლე მზია აბულაძე დაიღუპა. მოსიყვარულე მეუღლეებმა კარგი შვილები აღზარდეს, ხარობდნენ შვილიშვილებით, მაგრამ განგებამ ჯერ გოდერძი და რამდენიმე კვირაში კი მზიაც წაართვა საყვარელ შვილებს, შვილიშვილებს, სანათესაოს და სამეზობლოს.

ასე დაკარგა უბანმა ოთხი ღირსეული ადამიანი, ჩვენ კი არყოფნის და განშორების სევდა დაგვიტოვა.

თამარ მეფის ქუჩის მცხოვრებლები

ვასო დიაკონიძე

სკოლის, გაკვეთილების, მეურნეობის ხელმძღვანელობას ერთნაირად კარგად ართმევდა თავს, იყო შესანიშნავი პედაგოგი, სკოლის დირექტორი და სამეურნეო ხელმძღვანელი, იმავდროულად კარგი ოჯახის მეუღლე, მამა, ბაბუა. ვასო დიაკონიძე უყვარდა რუფოთს, თერჯოლას, პატივს სცემდნენ ხელმძღვანელი მუშაკები, მის აზრს ითვალისწინებდნენ და ენდობოდნენ, პატიოსნად, ერთგულად აკეთებდა საქმეს, როგორც მოწინავე ხშირად გამოდიოდა პლენუმებსა და აქტივის კრებებზე. ერთ პლენუმზე, რომელსაც ცეკას პასუხისმგებელი წარმომადგენელი ესწრებოდა, სიტყვით გამოსულმა ვასომ მხოლოდ 3 წუთი დაუთმო სკოლაში არსებულ ვითარებას, იმდენი ისაუბრა მეურნეობის პრობლემებზე, დააყენა წინადადებები, აქო და ადიდა ხელისუფლება და ბოლოს კომბაინი რომ მოითხოვა, წარმომადგენელს უკმაყოფილება დაეტყო სახეზე, კიდევ არაფერი მთხოვოსო, ვასოს სიტყვა შეაწყვეტინა—რა უნდა ამ კაცს სკოლის დირექტორად. გადაიყვანეთ მეურნეობის დირექტორადო, ეს მოთხოვნას ჰგავდა, მეორე დღესვე ვასო რუფოთის მეურნეობის დირექტორად გადაიყვანეს.

ასეთი იყო ვასო დიაკონიძე კარგი მასწავლებელი, დირექტორი, სამეურნეო ხელმძღვანელი, გამტანი და კოლეგიალური.

„ქრისტე აღსდგა მკუდრეთით
სიკუდილითა სიკუდილისა
დამთრგუნველი და საფლავების
„შინა ცხოვრების მიმნიჭებელი“



„მინდა ირწმუნონ საკუთარი შესაძლებლობების“...

მენტორ მასწავლებლის თამთა მამრიკიშვილისათვის მშობლები, ძმა გრიგოლ მამრიკიშვილი, საქართველოს და მსოფლიოს ჩემპიონი ძიუდოში, ის ადამიანები არიან, რომლებიც ბავშვობის ასაკიდან ჩააგონებდნენ ერწმუნა საკუთარი შესაძლებლობების და ებრძოლა მაქსიმუმის მიღწევისათვის.

თამთა (თათია) მამრიკიშვილმა წარმატებით დაამთავრა კვახჭირის საჯარო სკოლა, 2005 წელს კი ქუთაისის პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორია-უცხო ენების ფაკულტეტი. თამთა სკოლაში რუსულ ენას სწავლობდა, ინგლისურში მხოლოდ ანბანს ფლობდა, შესაბამისად რთული იყო აღნიშნულ ფაკულტეტზე ჩაბარება, იგი უნდა შეჭიდებოდა მომავალი პროფესიის ათვისებას საბაზისო ენობრივი უნარების ფლობის გარეშე. შრომისმოყვარეობამ და მიზანდასახულობამ შედეგი გამოიღო. წარმატებით დაასრულა უნივერსიტეტი მაგისტრის ხარისხით და იმავე წელს შეუდგა კერძო პრაქტიკას. მუშაობდა ქუთაისში უცხო ენებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლად.

„2007 წელს ჩემმა მშობლიურმა სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია ინგლისური ენის მასწავლებლის პოზიციაზე, მამის დაჟინებული მოთხოვნით, რისთვისაც მუდამ მადლიერი ვიქნები, გავაკეთე განაცხადი და აქედან იწყება ჩემი, როგორც მასწავლებლის კარიერა, სასწავლო გეგმის ნაწილი 2007 წლამდე გერმანული და რუსული ენა იყო, ამიტომ მე აღმოვჩნდი ჩემს სკოლაში პირველი ინგლისურის მასწავლებელი, რაც დიდი პასუხისმგებლობა იყო“— ამბობს თამთა და როგორც ყველა პროფესიის ადამიანს, მასაც ჰქონდა სირთულეები საწყის საფეხურზე. თამთა ამ დროს მხოლოდ 23 წლის იყო, საკმარისად არ იცნობდა ბავშვთა ფსიქოლოგიას, მუშაობის ეფექტურ გზებს, მაგრამ დამწყები პედაგოგი არ შეუშინებია გამოწვევებს, მუდამ ზრუნავდა თვითგანვითარებაზე, როგორც პირპოვნულად, ისე კარიერულად, ცდილობდა შეექმნა საკუთარი თავის უკეთესი ვერსია.

2010-2011 წლებში ჩააბარა მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდები—პროფესიულ უნარებსა და ინგლისურ ენაში, გახდა უფროსი მასწავლებელი, 2019 წელს მიიღო წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. საამისოდ წარმატებით განახორციელა სქემით გათვალისწინებული აქტივობები, პროფესიული პრაქტიკის კვლევა და გაიარა გარე დაკვირვების პროცესი.

2022 წელს ჩააბარა მენტორ-წამყვან მასწავლებელთა გამოცდა, წარადგინა პროფესიული საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია და მიიღო მენტორი მასწავლებლის სტატუსი. თანამშრომლობდა პროგრამების „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“, „მშვიდობის კორპუსის“ წარმომადგენელ ინგლისელ და ამერიკელ პედაგოგებთან.

თამთა მამრიკიშვილი მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე აქტიურად არის ჩართული არაფორმალურ განათლებაში. ახორციელებს საერთაშორისო პროექტებს ევროპელ პედაგოგებთან ერთად. 2023 წელს წარმატებით განხორციელებული პროექტისათვის თამთამ და მისმა მოსწავლეებმა მიიღეს „ეროვნული ხარისხის“ და „ევროპული ხარისხის“ ნიშნები და არაერთი სერთიფიკატი. მისი მოსწავლეები წარმატებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს და უმაღლეს შედეგებს აჩვენებენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებზე.

განსაკუთრებული იყო წლევანდელი ნელი—თამთას მოსწავლემ მე-10 კლასელმა თეკლა ტყეშელიაძემ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ადმინისტრირებულ პროექტში „მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა“ წარმატებით გაიარა ყველა საკონკურსო ეტაპი და ფინალისტის ტიტული მოიპოვა, შესაბამისად თეკლა მომდევნო სასწავლო წელს ამერიკაში იცხოვრებს და ისწავლის.

კარიერულ წინსვლას თამთა კარგად უთავსებს იყოს ღირსეული დედა და მეუღლე. იგი გიორგი ბალანჩივაძესთან, რომელიც კომპანია „გეოდის“ გაყიდვების მენეჯერია, ორ შვილს ზრდის. ელენე 15 წლისაა, დავითი კი 13 წლის, ისინი ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის მე-3 სკოლის მოსწავლეები არიან. „მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის შექმნის შემდეგ შევიცვალე საცხოვრებელი ადგილი, არასდროს მიფიქრია დამეტოვებინა ჩემი სკოლა, დიახ, ჩემმა ოჯახმა, მეუღლემ და ორმა შვილმა კარგად იციან, რომ საქმე, რომელსაც ვემსახურები ჩემთვის ისეთივე „ჩემია“, როგორც მათზე ზრუნვა და სიყვარული“—ამბობს თამთა და ისევ და ისევ სკოლაზე, მოსწავლეებზე, კვლავ ცოდნის ამაღლებაზე ფიქრობს, ამიტომაა ჩართული განათლების სამინისტროს მიერ დაანონსებულ საგანმანათლებლო რეფორმებში.

წინ კი ბევრი საქმეა, ყოველი წარმატება მენტორს აძლევს სტიმულს დაიხარჯოს, გაიზარდოს, როგორც მასწავლებელი და დაეხმაროს მოსწავლეებს წარმატებული მომავლის დაგეგმვაში, „მინდა ირწმუნონ საკუთარი შესაძლებლობების, იმის, რომ მათ ხელშია ჩვენი ქვეყნის მომავალი“—ამ სიტყვებით დაასრულა თამთამ ჩვენთან საუბარი.

ჟუჟუნა ცხადაძე

„ეს ქვეყანა თქვენ უნდა ჩაიბაროთ“

ფიქრები ოთხ მნიშვნელოვან მოვლენაზე

2022 წლის კურსდამთავრებულებს ვერცხლის და ოქროს მედლები გადაეცათ, რითაც დამთავრდა მათი ცხოვრების ოთხი განსაკუთრებული მოვლენა: დაამთავრეს სკოლა, გახდნენ სტუდენტები, მოიპოვეს გრანტი და მედლებიც გადაეცათ. ჩვენ დავუკავშირდით თითოეულ მათგანს და ერთი კითხვით მივმართეთ—რა იგრძენით როცა სკოლა დაამთავრეთ, სტუდენტი გახდით, გრანტი მოიპოვეთ და მედალიც გადმოგეცათ, როგორია თქვენი უახლოესი და შორს მიმავალი გეგმები.

მარიამ გოგიაშვილი, ოქროს მედალოსანი, 70% გრანტის მფლობელი (ჭოგნარის საჯარო სკოლა).

„ბოლო ზარის“ დარეკვას უცრემლოდ არ ჩაუვლია. ეს იყო ცრემლი იმ ტკბილი მოგონებებისა, რომლებიც სკოლასთან მაკავშირებდა! ამ პერიოდის განმავლობაში პატარ-პატარა სურვილები და დიდი მიზნები დავისახე. ეს მიზნები არ მაძლევდა დანებების საშუალებას, სწორედ ამიტომაც, სევდანარევი სიხარული მალე სრულმა ბედნიერებამ შეცვალა. ჩავირიცხე უნივერსიტეტში, რომელზეც მთელი ბავშვობა ვოცნებობდი! ვოცნებობდი თუ როგორ შევიმოსებოდი თეთრი ხალათით და გავაგრძელებდი თავდაუზოგავ შრომასა და სწავლას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში! ამ ყველაფერთან ერთად ორმაგად სასიხარულოა, როცა შრომის შედეგს ხედავ: სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, სასურველ უნივერსიტეტში გრანტით ჩავირიცხე, უკვე სტიპენდიატიც ვარ! ეს მხოლოდ დასაწყისია, სამომავლოდ კვალიფიკაციის ამაღლებას საზღვარგარეთ ვგეგმავ, მაგრამ, რა თქმა უნდა, საქართველოში დავბრუნდები და ღირსეულად ვემსახურები ჩვენს ერს, როგორც ექიმი.

იწამეთ თქვენი შესაძლებლობების და სასურველ შედეგს აუცილებლად მიაღწევთ!

ნანა ზარნაძე—ოქროს მედალოსანი, 70% გრანტის მფლობელი („მზეკაბანი“).

სევდანარევი სიხარული. სევდა ბავშვობასა და სკოლის კედლებთან გამოთხოვების გამო, სიხარული დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯებით გამოწვეული. პასუხისმგებლობაც იმისა, რომ მე, ერთ რიგით მოქალაქეს, მოვალეობები მაქვს ჩემი ქვეყნის წინაშე.

დასახული მიზნის მიღწევით გამოწვეული ბედნიერება და სიამაყე, კიდევ უფრო დავრწმუნდი საკუთარ შესაძლებლობებში და გავიაზრე, რომ თუ იბრძოლებ და იშრომებ, შეძლებ.

მედალი—საჩუქარი მოსწავლის უძილო ღამეებისათვის. შეგრძნება იმისა, რომ, თუ იშრომებ, დაგიფასდება, ეს კი ერთ-ერთი მოტივატორია ცხოვრების საწყის ეტაპზე.

სტუდენტური წლების ნაყოფიერად გამოყენება, ცოდნისა და საჭირო უნარების შეძენა, რაც სამომავლოდ დამეხმარება პროფესიონალად ჩამოყალიბებასა და ჩემი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში საკუთარი წვლილის შეტანაში.

მარიამ ქარაძეში, ოქროს მედალოსანი, 70% გრანტის მფლობელი (ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა).

სკოლა როცა დავამთავრე ვფიქრობდი, რომ რაღაც ახალი ეტაპი დგებოდა ჩემს ცხოვრებაში, ამასთანავე სიხარული და შიში ერთდროულად ვიგრძენი, სიხარული იმისა, რომ სკოლა დასრულდა, ხოლო შიში იმისა, თუ როგორ წარიმართებოდა ჩემი მომავალი. დარწმუნებული ვიყავი, რომ სტუდენტი გავხდებოდი, დაახლოებით ისიც ვიცოდი რამდენ პროცენტიან გრანტს ავიღებდი, შესაბამისად შოკური მომენტი არ მქონია შედეგების გამოქვეყნებისას, თუმცა რა თქმა უნდა ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სასიხარულო მომენტი ჩემს ცხოვრებაში, რადგან გავხდი იმ უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელში სწავლაც მეხუთე კლასის შემდეგ მინდოდა.

სამწუხაროდ, მედლის გადაცემის ცერემონიაზე ყოფნა ჩემი გადატვირთული გრაფიკის გამო ვერ მოვახერხე, და ის სიხარული რაც ამ მომენტს უნდა მოეტანა ჩემთვის ვერ შევიგრძენი, თუმცა, ის მეამაყება, რომ შრომა დამიფასდა და გამორჩეული გავხდი. ამ ყველაფერში გვერდით მედგა ჩემი სკოლა და პედაგოგები, რისთვისაც ძალიან დიდი მადლობა მათ.

ჟურნალისტიკაზე ვსწავლობ და შესაბამისად უახლოეს მომავალში ვაპირებ, რომ სტაჟირება გავიარო ტელევიზიაში და დავიწყო ჩემი პროფესიით მუშაობა. ხოლო რაც შეეხება შორს მიმავალ გეგმებს, ვიწყებ ესპანური ენის შესწავლას, რადგან ვაპირებ, რომ მაგისტრატურაზე სწავლა ესპანეთში გავაგრძელო და ჩემი მიზნები ავისრულო.

ჟუჟუნა ცხადაძე

„ო, ენავ, ჩემო, დედაო ენავ!“

2 ☜

იმ დღეს, სამხატვრო სკოლაში, დედაენის დღისადმი მიძღვნილ ვერნისაჟს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი მანუჩარ რობაქიძე ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად შეუერთდა. მათ ინტერესით დაათვალიერეს გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები, გულწრფელად გაინაწილეს მოსწავლე-მასწავლებელთა, აგრეთვე სხვა დამთვალიერებელთა სიხარული და ემოციები.

წარმოდგენილი გამოფენის გამო ნორჩმა „მხატვრებმა“ და პედკოლექტივმა ამჯერადაც მილოცვა, სამადლობელი და ლამაზი კომპლიმენტები მიიღეს მუნიციპალიტეტის პირველი პირისაგან.

ბატონმა მანუჩარმა ჩვენი ქვეყნის გმირული ისტორია და ამ ისტორიის შემოქმედი პირები გაიხსენა, რომელთა მეოხება და თავდადება საუკუნეთა განმავლობაში ჰქმნიდა და ინახავდა სწორედ იმ კულტურულ მემკვიდრეობას, ჩვენი ანბანი და მწერლობა რომ ჰქვია, მატერიალური და არამატერიალური ძეგლები, ეკლესია-მონასტრები, ხელოვნების ნიმუშები, გმირული წარსული, ტრადიციები.

ეროვნულობა, პატრიოტიზმი იყო, არის და მუდამ უნდა იყოს თაობების აღზრდის უპირველესი მიზანი და ვალდებულება.

„ჩვენი პატარა ქვეყნის შვილებს მართლაც გვჭირდება ყველა კეთილ, მამულიშვილურ საქმეში განსაკუთრებული ერთიანობა, რისთვისაც კი მიგვიღწევია, სწორედ ერთიანობის, ურთიერთსიყვარულის ვითარებაში. ყოველთვის და დღესაც აუცილებელია ვიყოთ ჩვენი ისტორიული ტრადიციების, მრავალშვილიანობის, გაჭირვებულთა თანადგომის ხელშემწყობთა პოზიციაზე.

ათასგზის მადლობა უნდა ვუთხრათ მათ, ვინც შემოგვინახა და ჩვენამდე მოიტანა ჩვენი ღირსეული ქართული კულტურა და წეს-ჩვეულებები“... აღნიშნა ბატონმა მანუჩარმა.

ეს არ იყო ყველაფერი, რაც სამხატვრო სკოლაში ამ თემას მიეძღვნა.

14 აპრილს დედაენის საზეიმო დღეს სამხატვრო სკოლა რაიონის ღონისძიებებს ასფალტზე ხატვითაც შეუერთდა. მოსწავლეებმა სამ ღვთაებრივ საუნჯეს: „ენა, მამული, სარწმუნოებას“ ფერადი ცარცით კარგად ჩაფიქრებული და შესრულებული ნამუშევრები მიუძღვნეს.

მზია ცქიფურიშვილი

ზეციური საუნჯე

ანდრია პირველწოდებული

ჩვენი გაზეთის ამ ნომერში, რუბრიკით „ზეციური საუნჯე“ მღვდელი დავითი (ჭანტურიძე), ჩვენს ჟურნალისტს ჟუჟუნა ცხადაძეს ესაუბრა წმინდამოციქული ანდრია პირველწოდებულის შესახებ, რომელმაც პირველმა აღიარა ქრისტე.

—ანდრია პირველწოდებული იყო ის, ვისაც ჰქონდა ბედნიერება მოესმინა იესოს წინასწარმეტყველება ეკლესიისა და ქვეყნის მომავლის შესახებ. — წმიდამოციქული ანდრია წარმოშობით ებრაელი იყო, მოციქულ პეტრეს ძმა. თავდაპირველად მოწაფე იოანე ნათლისმცემლისა. როგორც კი მოძღვარმა უჩვენა მომავალ ქრისტეზე, ანდრია გახდა იესო ქრისტეს მოწაფე, როცა ანდრიამ ჰპოვა უფალი ყოველთა, ვითარცა ერთგვარი საუნჯე ნათლისა, აღტაცებით მიმართა თავის ძმას, პეტრეს:—ვპოვეთ მესია,—ქრისტე! მან პირველმა აღიარა ქრისტე, ამიტომ დაერქვა პირველწოდებული.

აღდგომის შემდეგ მაცხოვარი მივიდა მოციქულებთან და უთხრა: „მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ცაში და დედამიწაზე, ამიტომ წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმინდის სახელით“ (მათე 28, 18-19).

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ კი ყარეს კენჭი მოციქულებმა, თუ ვის სად ექადაგა. ანდრია მოციქულს ქალწული მარიამისგან ეუწყა ღვთის ნება,—საქართველოში გამგზავრებულიყო საქადაგებლად. წილისყრით მას ასევე ხვდა შავი ზღვის სანაპირო, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი და სკვითეთი (დღევანდელი რუსეთი).

მოციქულ ანდრია პირველწოდებულის მიერ სახარების ქადაგება მოიცავს ოთხ მისიონერულ მოგზაურობას. გადმოცემის თანახმად თავიდან იქადაგა იუდეას სამარიაში, ასევე ღაზაში. ლიდაში, შემდეგ—ანტიოქიაში და იქიდან—ედესაში. 36 წელს წმიდა მოციქული გადავიდა ბიზანტიის ბერძნულ ქალაქში, რომელიც შემდგომ გახდა კონსტანტინოპოლი, იქადაგა კაპადოკიაში, გალათეაში, პონტოში (დღევანდელ ჩრდ. თურქეთი), ხოლო შემდეგ ისევ საქართველოში, იქიდან კი—სომხეთში.

მეორე მისიონერული მოგზაურობა ანტიოქიიდან დაიწყო, პონტოსა და საქართველოში, სოგდიაში. არსებობს სამი სხვადასხვა წყარო, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა დასავლეთ, ცენტრალურ, აღმოსავლეთ აზიაში. IX საუკუნის მწიგნობარი ეპიფანეს მტკიცებით, ანდრია მოციქული იყო სკვითებისა და მასაკების მიწაზე, ალთაიში, საიდანაც სტეპების გავლით გაემართა კასპიის ზღვისკენ. აქ ალანებს უქადაგა სახარება. შემდეგ გაემართა ქურთისტანში, სადაც შემთხვევით გადაურჩა მოწამებრივ სიკვდილს.

მესამე მისიონერული მოგზაურობა მოიცავს ანდრია მოციქულის მიერ აფრიკის ქვეყნებში ქადაგებას, ეთიოპია-ნილოსის გავლით კი იერუსალიმში. მეოთხე მისიონერული მოგზაურობა დაიწყო ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ, როცა ის ისევ ეწვია პონტოს, საქართველოს და გაემართა აზოვის ზღვისკენ, საიდანაც გადავიდა ყირიმში. დნეპრისპირეთიდან გაემართა ბალტიის ზღვისკენ, იქიდან შოტლანდიაში და თანამედროვე პოლონეთისა და სლოვენიის გავლით მივიდა რუმინეთში, საიდანაც გაემგზავრა ხერსონყირიმში, სინოაში, მაკედონიაში, ეპირში, თესალიაში, ლამიაში, ლუტრაკიონსა და კორინთოში.

სამცხის საზღვარზე სოფელ ზადენ გორაში წმინდა ანდრიას ლოცვით კერპები დამხობილან, საკერპო ტაძრის გვერდით ერთ ქვრივ დედაკაცს, რომელმაც პირველმა იწამა ქრისტე, როგორც ჭეშმარიტი ღმერთი, შვილი გაუცოცხლა, ქალაქის ქურუმები აღივსნენ შურით და შეეწინააღმდეგნენ მოციქულს. ღვთის ნებით, ღვთისმშობლის ხატის სასწაულით დაილეწა კერპები. ხალხმა მადლობით აღმოთქვა—„დიდია ქრისტიანთა ღმერთი, რომელსაც ანდრია მოციქული ქადაგებს“. ყველამ ირწმუნა უფალი იესო ქრისტე და ნათელიღეს.

უკანასკნელად მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ქალაქ პატრაში (საბერძნეთი). წმინდანის ლოცვით ამ ქალაქში უამრავი ადამიანი განიკურნა და მოიქცა ქრისტეს რჯულზე. მათ შორის იყო ქალაქის თავის ეპარქის ცოლი, რომელიც მოციქულმა განკურნა მძიმე ავადმყოფობისაგან და აგრეთვე ეპარქის ძმა, ფილოსოფოსი სტრატოკლი.

თავად ეპარქი ამ დროს იყო რომში. პატრში დაბრუნების შემდეგ მან გაიგო, რომ ქალაქში ვრცელდება ახალი მოძღვრება, რომელმაც შეაღწია მის ოჯახშიც. მან მოთხოვა მოციქულს უარი ეთქვა თავის ღმერთზე და თაყვანი ეცა წარმართთა კერპებისათვის, რაზედაც უარი მიიღო. უღვთო ხელისუფალმა ბრძანა ჯვარს ეცვათ უფლის რჩეული. წმინდანი სიხარულით შეხვდა განაჩენს. მოციქულმა თავის გასაკრავი ჯვარი რომ დაინახა, შეღაღადა: „გიხაროდეს, ჯვარო, ქრისტეს სხეულით ნაკურთხო, ვიდრე ქრისტეს მოაკრავდნენ შენზედ, საშინელი იყავი, ახლა კი სიხარულითა და აღტაცებით გღებულობთ შენ, გიყურებ ნეტარებით, მიმიღე მეც ქრისტეს მოწაფე“. იგი თავისით ავიდა ჯვარზე. ტანჯვა რომ გაეხანგრძლივებინა, ეგაეტმა ბრძანა, ძელზე კი არ მიელურსმათ, არამედ დაეკიდათ. წმინდა მოციქული ორი დღე ქადაგებდა ირგვლივ შეკრებილთა წინაშე. წმინდანის მადლმოსილი სიტყვებით შეძრულმა ხალხმა მოითხოვა, ჯვრიდან ჩამოეხსნათ იგი. ეგაეტმა განკარგულება გასცა, გაეთავისუფლებინათ წმინდანი, მაგრამ ანდრიამ მხურვალედ შესთხოვა უფალს, ჯვარზე აღსრულების ღირსი გაეხადა. მეომრები დიდხანს ცდილობდნენ მის ჩამოხსნას, მაგრამ ამაოდ, სიკვდილის წინ წმინდა ანდრიამ დალოცა მის წინ შეკრებილი მორწმუნეები და მიაბარა თავისი ნეტარი სული ღმერთს, ეს მოხდა 62 წელს.

გაიცანით—ეს შოთა დიაკონიძეა!

შოთა დიაკონიძე თერჯოლის №1 საბავშვო ბაღში და №1 საჯარო სკოლაში გამორჩეული იყო. მშობლები: კოტე დიაკონიძე, ნინო არეშიძე ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ფეხბურთით დაინტერესებულ შოთიკოს ბავშვთა სპორტულ სკოლაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მე-7 კლასიდან მოუწია „დინამოს“ აკადემიაში გადასვლამ.

შოთიკო თერჯოლის ბავშვთა სპორტულ სკოლაში ვარჯიშობდა მწვრთნელებთან: ელგუჯა არეშიძესთან, რამაზ გურაბანიძესა და დიმა არეშიძესთან. მწვრთნელები სულსა და გულს სდებდნენ საქმეში, შოთიკოს „შეუსვენებლად“ ავარჯიშებდნენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. შოთიკოც დიდი მონდომებით იყო და 15 წლისას უკვე აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ იგი ერთ-ერთ ტურნირზე მოეწონა „დინამო“ თბილისის მთავარ სელექციონერს თემურ უგრეხელიძეს და დღეს შოთიკო ირიცხება „დინამო“ თბილისის 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა გუნდში (თუმცა მისი ასაკი 15 წელია), საქართველოს 15 წლამდე და საქართველოს 17 წლამდე ნაკრებებში, დასახელებულია სხვადასხვა ტურნირებზე საუკეთესო ფეხბურთელად და საუკეთესო მცველად. ეს იმის თვალსაჩინო მაგალითია, როგორ შეიძლება მოხვდე რაიონში გაწვრთნილი დიდ ასპარეზზე.

შოთიკოს უკვე ჰყავს საფეხბურთო მენეჯერი, ირაკლი ლილუაშვილი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ფეხბურთთან დაკავშირებულ ყველა საკითხში.

დიდ დახმარებას უწევს მუნიციპალიტეტის მერი ბატონი მანუჩარ რობაქიძე, უხარია მისი წარმატებები და იმედოვნებს, რომ დიდი მომავალი აქვს საფეხბურთო კარიერაში.

შოთა დიაკონიძეს ვიხილავთ ეროვნულ ნაკრებში და მსოფლიო ცნობილ გუნდებშიც.

ჟუჟუნა ცხადაძე

მზის სხივების მოდარაჯე ფოტოხელოვანი

18 აპრილს, თერჯოლის სამხატვრო სკოლის დიდ საგამოფენო დარბაზში, თემურ ნიკოლაძის ფოტონამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

ეს მისი პერსონალური ნამუშევრების პირველი გამოფენა იყო საქართველოს სასოფლო რეგიონებში.

ლამაზი სურათებით დამშვენებულ დარბაზში ხალხმრავლობაა. თვალის ერთი შევლებაც საკმარისია აღიქვა ის სილამაზე და მშვენიერება, რაც ამ ფოტოხელოვნების ნიმუშებითაა გადმოცემული და რომ მათი ავტორი ნამდვილად მაღალი დონის, საინტერესო შემოქმედია...

თემურ ნიკოლაძის შემოსვლას საგამოფენო დარბაზი მრავალჟამიერით შეხვდა...

შეკრებილ საზოგადოებას, თერჯოლელ დამთვალიერებლებსა და თემურ ნიკოლაძის მეგობრებს მიესალმა თერჯოლის სამხატვრო სკოლის დირექტორი ქალბატონი **თამარ ღარიბაშვილი. „მოგილოცავთ დღევანდელ დღეს, მივესალმები ამ შესანიშნავი ნამუშევრების ავტორს, ბატონ თემურს. დიდი ხანია ამ სივრცეში გამოფენა არ გვქონია, მითუმეტეს ფოტონამუშევრები სიახლეა და იმედია კმაყოფილი დარჩება თითოეული დამთვალიერებელი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ გამოფენას ჩვენი სკოლის მოსწავლეებისათვის. ამ ექსპონატების ნახვის შემდეგ ბავშვები ისწავლიან—როცა სურათებს გადაიღებენ, როგორ გადააქციონ ხელოვნების ნიმუშებად...**

არ შემიძლია მადლიერებით არ აღვნიშნო, რომ გამოფენის მოწყობის იდეა ეკუთვნის გაზეთ „თერჯოლის“ რედაქტორს, ქუთაისის საპატიო მოქალაქეს ბატონ დავით კლდიაშვილს“.





დავით კლდიაშვილი: „დიდი ხანია ვიცნობ ბატონ თემურ ნიკოლაძეს, ის თერჯოლაში, სოფელ ნახშირღელეში დაიბადა და გაიზარდა. შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის რამდენიმე ფაკულტეტი დაამთავრა. წლებია ცხოვრობს და მოღვაწეობს ქუთაისში. საზოგადოება მას იცნობს როგორც მაღალკვალიფიციურ ფინანსისტსა და ეკონომისტს, თავისი წესიერებით და შეუვალობით გამორჩეულ ბანკირს. იგი ამ სფეროში დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. იყო სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე. წლების მანძილზე მუშაობდა გაერთიანებული ქართული ბანკის რეგიონალურ დანაყოფის მმართველად, რომელსაც ფილიალი თერჯოლის რაიონშიდაც ჰქონდა. ხელოვნების ამ დარგით იგი სამიოდე წელია რაც დაინტერესდა, თუმცა ყველა ვხედავთ, რომ ის ნამდვილად საინტერესო ფოტოხელოვნად ჩამოყალიბდა, რომლის თითოეულ ნამუშევარს შეუძლია სიამოვნება მიანიჭოს დამთვალიერებელს, ხელოვნების მიზანიც ხომ ესაა...

ჩვენს წინაშე სწორედ ეს ფოტონამუშევრებია. ფოტონამუშევრები ქვეყანაზე, ჩვენს ბუნებაზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცისა, რომელიც სამოყვარულო ინტერესით დარაჯობდა ამომავალი თუ დაისის მზის სხივებს, რათა სამყაროში ამ სხივებით შექმნილი იდუმალების ფოტოკადრები მოეტანა ჩვენთვის.

თემურ ნიკოლაძე თავის ნამუშევრებით თერჯოლაში მარტო არ მოსულა. მასთან ერთად არიან მისი მეგობრები. ქუთაისის განათლების, კულტურის, საბანკო და ა.შ. სფეროს წარმომადგენლები, რომლებსაც კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში, როგორც ნიჭიერ მწერლებს, მრავალგზის პრემიის ლაურეატებს, დამსახურებულ მხატვრებსა და მსახიობებს, აკადემიურ პროფესორებს“.

მეგობრებმა თემურ ნიკოლაძეს მიულოცეს მშობლიურ რაიონში პირველი, საერთოდ კი მეოთხე ფოტოგამოფენის გახსნა, ისაუბრეს მის ნიჭიერებასა და ადამიანურ ღირსებებზე, მის საინტერესო და უკვდავ შემოქმედებაზე, მაღალ პროფესიონალიზმზე...

გამოფენის გახსნაზე სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, სხვადასხვა ლიტერატურული პრემიებისა და დავით კლდიაშვილის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი **თეიმურაზ ლანჩავა,** მწერალი კრიტიკოსი, თემურ ნიკოლაძის შემოქმედების მეისტორიე **ელგუჯა თავბერიძე,** პროფესორები: **ომარ ნიშნიანიძე, ოთარ ჭუმბურიძე, ავთანდილ ბუცხრიკიძე,** იმერეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე და ჩოხოსანთა იმერეთის სადროშოს წინამძღოლი **ლევან როხვაძე,** პოეტები **ირმა ქურასბედიანი** და **ეთერ ფაცურიძე,** ყოფილი ბანკირი **მირზა ქოჩიაშვილი,** სამხარეო ადმინისტრაციის უფროსი, რეგიონებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი **დავით გორდელაძე** და სხვები.

მათ მადლობა გადაუხადეს მეგობარს წარმატებული შემოქმედებისათვის, აგრეთვე თერჯოლის მერს და ღონისძიების ორგანიზატორებს. პოეტმა ირმა ქურასბედიანმა კი ფოტოხელოვანს ლენტეხელების მზადყოფნა გადასცა მისი გამოფენის მასპინძლობისათვის.

ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **მანუჩარ რობაქიძე** შეუერთდა: **„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ჩვენს მუნიციპალიტეტში, მივესალმები ნიჭიერებას, თქვენს სტუმრობას და გამოფენას თერჯოლაში. თითოეული ნამუშევარი ცხადყოფს, რომ ყოველივე ამაში განსაკუთრებული ნიჭი და შრომაა ჩადებული. მიხარია, რომ თქვენ შემოქმედებით სიხარული მიანიჭეთ თითოეულ თერჯოლელს.**

მადლობა თქვენ ამისათვის და მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ასეთი ღირსეული შემოქმედის გამოფენის ორგანიზებაში, სამხატვრო სკოლას, მის მოსწავლეებს, განსაკუთრებული მადლობა ბატონ დავით კლადიაშვილს ასეთი ლამაზი ღონისძიების თაოსნობისათვის“.

მუნიციპალიტეტის იუბილარი მერის მილოცვას დარბაზში აპლოდისმენტები მოჰყვა.

თემურ ნიკოლაძე: **„ძალიან ვღელავ, დღეს ჩემთვის მართლაც განსაკუთრებული დღეა, ბედნიერი ვარ ნამდვილად, აქ იმდენი სიყვარული მაჩუქეთ...**

ჩემი შემოქმედება სულ სამი წლის ისტორიას ითვლის. საინტერესო და ლამაზი ხედები უამრავია ჩვენს ირგვლივ, მიტაცებდა მათი გადაღება, ხელოვნების ნიმუშად რომ აქციო ამას სხვა ხედვა და მუშაობა ჭირდება. პირველად ჟურნალების გარეკანის ფოტოებით დაიწყო ჩემი სურათების გასაჯაროება. მერე იყო შემოთავაზება გამოფენის მოწყობაზე, თავს ვიკავებდი, თუმცა მოხდა ისე, რომ ჩემი ნამუშევრები უკვე მეოთხედაა დამთვალიერებელთა წინაშე და მიხარია თუ მოეწონათ. მადლობას გიხდით ყველას, ვინც დღეს ჩემს გვერდით ხართ. მადლობა ბატონ მანუჩარს, სრულიად განსხვავებულ და განსაკუთრებულ ადამიანს, დღეს მისი დაბადების დღეა. გოგნის სალოცავზე მაქვს ერთი ჯადოსნური სურათი გადაღებული, ნატვრის ხე ჰქვია, ვჩუქნი მას ბატონ მანუჩარს და ვუსურვებ ყველა ნატვრის და ოცნების ახდენას.

მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო დღევანდელი დღის ორგანიზებაში, განსაკუთრებული მადლობა ბატონ დავითს, ეს ყველაფერი მისი იდეა იყო“...

„მე მიყვარს ხელოვნება, ამ კაცს, თემურ ნიკოლაძეს მთელი ქუთაისი იცნობს, როგორც რიონისპირა პეიზაჟების უბადლოდ გადამღებს, ფერის, სიმეტრიის, სივრცის, შუქ-ჩრდილის საოცრად შემგრძნობს“—ასეთია ჟურნალისტ ნანული ცხვედიანის შეფასება თეიმურაზ ნიკოლაძის ნამუშევრებზე.

გამოფენის გახსნის ლამაზი დღე კი სახელდახელოდ გაშლილ მაგიდასთან, ულამაზეს სადღეგრძელოებსა და დალოცვებში გაგრძელდა.

მზია ცქიფურიშვილი

P.S. — ამ დიდებული ნამუშევრების გამოფენა მხოლოდ რამდენიმე დღე გაგრძელდა, მაგრამ საბედნიეროდ, მისი ნახვა სამხატვრო სკოლისა და საჯარო სკოლების ასობით მოსწავლემ მოასწრო პედაგოგებთან ერთად, რაც შესანიშნავი დასტურია ჩვენი ახალგაზრდობის ლტოლვისა მშვენიერებისაკენ.

— ერთი საგულისხმო დეტალი—ბატონმა თემურ ნიკლაძემ რამდენიმე სურათი დატოვა საჩუქრად თერჯოლაში, მათ შორის 2 სურათი დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმისათვის, ერთი თერჯოლის ეპარქიის საკათედრო ტაძრისა და ერთიც მუნიციპალიტეტის მერიისათვის.

დიდი მადლობა და მომავალი წარმატებები მას.

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872